



#45

2008/07/07

ქალბატონ სოფიო ბერიშვილს,

ფონდის დირექტორს გარემოზე ზემოქმედებისა
და სოციალურ საკითხებში,

ქალბატონ ნინო ბერაძეს,

საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს,

“ფონდი -ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს-MCG”

“ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ქალბატონი ლია მამნიაშვილი გვწერდა (21.09.2007 CG/DD/OUT/1074), რომ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტით “ფარცხისი-ამლევ-წალკის მონაკვეთზე ხდება არსებული გზის რეაბილიტაცია” და “გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში დადგენილია ძირითადი რეცეპტორები და შემუშავებულია ზემოქმედების შემცირების ზომები... პროექტში გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები სრულად აკმაყოფილებს როგორც საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასევე ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებულ პრინციპებს და მსოფლიო ბანკის სტანდარტებს”.

მოგეხსენებათ, პროექტის “გარემოზე ზემოქმედების შეფასების” ანგარიშის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის (მართვის) გეგმით საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ურთხმელის (*Taxus baccata*) ხეების დაზიანების რისკის თავიდან ასაცილებლად განსაზღვრული იყო დაცვის ზომები მხოლოდ ამ ხეების მარკირების სახით (გვ.145). აღნიშნულ დოკუმენტში არსად იყო ნახსენები, რომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად საჭირო გახდება გზის პირას მოხარდი ურთხმელის (სინონიმები: კენკროვანი ურთხელი, უთხოვარი, ულპობელი) ხეების გადარგვა გზის გაფართოვების გამო, ან, მით უფრო, მათი მოჭრა.

მიმდინარე წლის იანვარში ჩვენ გადმოგიგზავნეთ “ურთხმელის კორომების ფონური მონიტორინგის შედეგები” (წერილს თან ერთვის pdf. ფაილის სახით). ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტმა, ქალბატონმა ქეთი დგებუაძემ გვაცნობა, რომ ჩვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია გზის სამშენებლო სამუშაოების დაწყებისთანავე გადაეცემოდა პროექტის მართვის კომპანიას, სახელმძღვანელო კომპანიას და იქნებოდა გათვალისწინებული პროექტის გარემოსდაცვით საკითხებში.

სამწუხაროდ, თქვენმა კონტრაქტორმა კომპანიამ “აშტრომი”, რომელიც ახორციელებს ფარცხისი-გოხნარის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციას, ვერ უზრუნველყო გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულება და ქვეკონტრაქტორის “Georgian Construction Group”-ის მიერ გზის გაფართოვების მიზნით გზისპირა ხეების გაკაფვისას უკვე მოჭრილია კანონით დაცული ამ სახეობის ოთხი ეგზემპლარი, კოორდინატები: latitude 41.6181436, longitude 44.5056777, altitude 992.2. ფოტოებზე ნათლად ჩანს, რომ ახლად არის მოჭრილი არა გამხმარი ხეები, არამედ უთხოვრის ცოცხალი ეგზემპლარები:



ამასთან, როგორც გავარკვიეთ ქვეკონტრაქტორის წარმომადგენელთან ბატონ ბესიკ გალდავასთან, ისინი არ არიან ინფორმირებულები საერთაშორისო კონსერვაციის სტატუსის მქონე ორქიდეების დაცვის აუცილებლობის თაობაზე. მოგეხსენებათ, პროექტის “გარემოზე ზემოქმედების შეფასების” ანგარიშის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებულია “ზომების მიღება მცენარეების კანონით დაცული ჯიშების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ტერიტორიის გაწმენდის სამუშაოების დროს. 2007 წლის აპრილის პირველ ნახევარში უნდა ჩატარდეს წინასწარი დათვალიერება, გასუფთავება მდე, გზის დერეფანში 30-ედან მე-40 კმ-მდე, გზის მახლობლად არსებული კარიერების ჩათვლით (მაგ. კმ 46.5). დაცული ჯიშის ყველა მცენარე უნდა ამოითხაროს და გადაირგას მახლობლად, სათანადო ადგილას. სათანადო ადგილი შეიძლება იყოს მდელი 37.3 კმ-ზე (კოორდინატები N413732.0, E 442938.4) მარცხნივ, სადაც უკვე არის ამ ორქიდეების ორივე ჯიშის მსხვილი პოპულაციები”.

რამდენადაც ორქიდეების გადარგვა არ მომხდარა გზის დოკუმენტით გათვალისწინებულ ვადებში და გზის მშენებლობის სამუშაოები კი დაიწყო, მ/წლის 18 ივნისს კომპანია “აშტრომის” გარემოსდაცვით ოფიცერთან ბატონ შალვა ბოსიკაშვილთან სატელეფონო საუბრისას ჩვენ შევთავაზეთ ორქიდეების გადარგვის სამუშაოების ჩატარება ჩვენი ძალებით, რაზედაც ის დაგვპირდა, რომ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შემდეგ დაგვიკავშირდებოდა. მართალია, ჯერ-ჯერობით არ არის დაზიანებული ორქიდეების არც ერთი ეგზემპლარი, მაგრამ მიმდინარე სამუშაოების ტემპებიდან გამომდინარე, ნებისმიერი მათგანი შეიძლება დაზიანდეს დღევანდელ დღესაც კი.


ჩვენ აღვნიშნეთ გზის პირას მოხარდი ორქიდეები, გაწვდით მათი ადგილმდებარეობის სქემებს (წერილს თან ერთვის სამი pdf. ფაილისა და ერთი gpx. ფაილის სახით), აგრეთვე მათ კოორდინატებს და რაოდენობას:

#	latitude	longitude	altitude	Number of Orchis
1	41.6603060	44.4126897	954.0	15
2	41.6329621	44.4687406	876.8	2
3	41.6265428	44.4839660	880.0	1
4	41.6270393	44.4864269	874.9	1
5	41.6243592	44.4978434	943.9	1
6	41.6246773	44.4985537	944.1	2
7	41.6246164	44.4990875	929.7	2
8	41.6244491	44.4992615	930.2	12
9	41.6242795	44.4992780	931.9	13
10	41.6240539	44.4992055	933.6	12
11	41.6235555	44.4996305	929.7	1
12	41.6221203	44.5025216	951.8	8
13	41.6216886	44.5029993	958.6	5
14	41.6208139	44.5071397	948.0	2
15	41.6184243	44.5075784	969.1	2
16	41.6122451	44.5084840	1010.5	3
17	41.6113466	44.5095739	1005.2	2
18	41.6117100	44.5137982	970.8	5
19	41.6113334	44.5140553	966.0	12
20	41.6104310	44.5132731	10289.4	1
21	41.6103510	44.5147457	943.4	6
Total				108

ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციამ “ფლორა და ფაუნა+” უკვე გადარგო სამშენებლო დერეფნიდან ბეჭყვავილა გლობულარიას ეგზემპლარები და მოხარული ვიქნებით, თუ კომპანია “აშტრომი” შეასრულებს ფონდის მიერ ნაკისრ გარემოსდაცვით ვალდებულებებს, აიცილებს თავიდან ორქიდების დაზიანებას და აღარ განმეორდება კანონით დაცული სახეობების განადგურების სამწუხარო ფაქტი, როგორც ეს *Taxus baccata* –ს შემთხვევაში მოხდა.

გვსურს გამოვხატოთ თანადგომა, ჩვენი ქვეყნისათვის ამ ძალზე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას ორქიდების სამშენებლო დერეფნიდან მოცილებისათვის საჭირო სამუშაოების დაუყოვნებლივი ჩატარებისათვის მზადყოფნის სახით და ვიქონიოთ თქვენთან შემდგომი თანამშრომლობის იმედი.

პატივისცემით,



მამუკა აბულაძე,
კავშირის “მწვანე კავკასია”
თავმჯდომარე